არასოდეს გამიშვა

კაზუო იშიგურო

2013-12-12

კაზუო იშიგურო

„დიდ კინოდ ქცეული წიგნები“

მთარგმნელი: დავით აკრიანი

რედაქტორი: მანანა ღოღობერიძე
სტიდისტ-კორექტორები: ღიკა თავართქიდაძე, რუსუდან ღანდია
გარეკანის დიზაინი: რატი თორდია
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თემურ სიხარულიძე

Originally published as NEVER LET ME GO
Copyright©Kazuo Ishiguro 2008

© გამომცემლობა პალიტრა L, 2012
მის.: იოსებიძის ქ. #49

„არასოდეს გამიშვა“ – იაპონელის მიერ დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისური რომანი

. . .

კაზუო იშიგუროს რომანი „არასოდეს გამიშვა“ ბრიტანელმა რეჟისორმა აქცია ფილმად და არც შემცდარა – იგი ბოლო დროის ერთ-ერთ საუკეთესო სამეცნიერო ფანტასტიკურ კინოფილმად აღიარეს. იშიგუროს რომანი ასი საუკეთესო ინგლისური რომანის სიაშია შეტანილი.

მუსიკოსობაზე მეოცნებე მწერალი

კაზუო იშიგურო იაპონური წარმოშობის ბრიტანელი მწერალია. იგი 1954 წლის 8 ნოემბერს დაიბადა იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში. 1960 წელს მისი ოჯახი ბრიტანეთში გადავიდა საცხოვრებლად. მამამისმა ოკეანოგრაფიის ეროვნულ ინსტიტუტში დაიწყო კვლევები. თავად კაზუომ ვაჟთა გიმნაზიაში მიიღო განათლება. მუსიკოსობაზე ოცნებობდა, კლუბებში უკრავდა, პროდიუსერებს უგზავნიდა ჩანაწერებს, მაგრამ წარუმატებლად. 1978 წელს ბაკალავრის ხარისხი მიიღო კენტის უნივერსიტეტში. ლონდონში სოციალურ მუშაკად მუშაობდა. 1980 წელს ხელოვნების მაგისტრი გახდა აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში. სულ ცოტა ხანში იშიგურომ სიტყვები დაწერა ჯაზური მომღერლის სტეისი კენტის აღბომისთვის „საუზმე დილის ტრამვაიში“.

ლიტერატურული კარიერა 1981 წელს დაიწყო სამი მოთხრობის გამოქვეყნებით. 1983 წელს, თავისი პირველი რომანის გამოქვეყნებიდან სულ მალე, გრანტზე წარადგინეს, როგორც „ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ბრიტანელი მწერალი“. რომანს ერქვა „იქ, საიდანაც გორაკები ჩანს“. ასეთივე წამახალისებელი ჯილდო მიიღო მიღწევებისთვის 1993 წელს. შემდეგი რომანები იყო „წებოვანი სამყაროს მხატვარი“, „დღის ნარჩენი“, რომელმაც ბუკერის პრემია მიიღო. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ იაპონელმა დაწერა „XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ინგლისური რომანი“. მას ჯოზეფ კონრადსა და ვლადიმირ ნაბოკოვს ადარებდნენ. ამ რომანის მიხედვით საკმაოდ წარმატებული ფილმი გადაიღეს, რომელშიც ენტონი ჰოპკინსი და ემა ტომპსონი მონაწილეობდნენ. უფრო დიდი წარმატება მოჰყვა მისი რომანის „არასოდეს გამიშვას“ ეკრანიზებას.

იშიგურო ლიტერატურის სამეფო საზოგადოების წევრია, მისი ნაწარმოებები მსოფლიოს 30-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

მწერალი ამჟამად ლონდონში ცხოვრობს ცოლთან – ლორნა მაკდუგალსა და ქალიშვილთან

ერთად. „არასოდეს გამიშვა“ ჯერჯერობით მისი უკანასკნელი რომანია, რომელიც 2005 წელს დაწერა. ეს რომანი ჟურნალმა „ტაიმმა“ ყველა დროის 100 საუკეთესო ინგლისურ რომანს შორის დაასახელა. „არასოდეს გამიშვა“ ასევე წარდგენილი იყო ბუკერის პრემიაზე.

„ჩემი მიზანია „საერთაშორისო რომანები“ ვწერო. რა არის „საერთაშორისო რომანი“? ეს არის რომანი, რომელიც მსოფლმხედველობით ახლოსაა ყველაზე განსხვავებულ ადამიანებთან, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი. მის გმირებს შეუძლიათ მართლაც იმოგზაურონ კონტინენტიდან კონტინენტზე, ან კიდევ მთელი ცხოვრება მშობლიურ სოფელში გაატარონ, – ამბობს ცნობილი მწერალი. – ჯერ მხოლოდ 50 წლის ვარ, მაგრამ უკვე მართლა ვგრძნობ, როგორ სწრაფად გამირბის დრო. „სიამაყე და ცრურწმენა“ დაწერა ვიღაც ახალგაზრდამ. „ომი და მშვიდობა“ დაწერა ვიღაცამ, რომელიც იოლად მოიპოვებდა ჯილდოს, როგორც „საუკეთესო ახალგაზრდა რუსი მწერალი“. იმას არ ვამბობ, რომ უკვე სიკვდილის დრო დამიდგა, მაგრამ მესმის, რომ ჩემი შესაძლებლობები, როგორც მწერლის, ასაკთან ერთად შეიძლება აღარ იყოს ისეთ დონეზე და მე შეიძლება გავხდე ერთ-ერთი იმ მწერალთა შორის, რომლებსაც პატივს სცემენ იმ სამუშაოს გამო, რომელიც ახალგაზრდობისას შეასრულეს, მაგრამ ვცდილობ ამაზე არ ვიფიქრო“.

„ოთხვარსკვლავიანი“ ფილმი

რომანის „არასოდეს გამიშვას“ მიხედვით, 2010 წელს რეჟისორმა მარკ რომანეკმა გადაიღო ფილმი-უტოპია ამავე სახელწოდებით. ფილმში მთავარ როლებს კირა ნაიტლი, კერი მაღიგანი და ენდრიუ გარფილდი თამაშობენ. აშშ-ში სურათი 2010 წელს გამოვიდა ეკრანებზე, დიდ ბრიტანეთში კი ერთი წლის შემდეგ. სურათი უფრო ფანტასტიკური გამოვიდა, ვიდრე რომანი იყო. რეჟისორს მეტად გამძაფრებული ჰქონდა მთავარი თემა – უჩვეულო სკოლა-ინტერნატში ადამიანების კლონირება ხდება ცოცხალი დონორების შესაქმნელად, ორგანოების გადანერგვისთვის.

რომანის ეკრანიზაციას დიდი მოწონებით შეხვდა როგორც კრიტიკა, ასევე ფართო საზოგადოება, ცნობილმა კინოკრიტიკოსმა როჯერ ებერტმა ფილმს უმაღლესი შეფასება მისცა – 4 ვარსკვლავი. 2010 წელს ბრიტანეთის დამოუკიდებელი კინოს პრემია მიიღო კერი მაღიგანმა, როგორც საუკეთესო მსახიობმა, ამას გარდა ფილმი ამავე პრემიის ხუთ ნომინაციაზე იყო წარდგენილი. 2011 წელს ასევე ხუთი ნომინაცია ჰქონდა „სატურნის“ პრემიაზე (მათ შორის, როგორც საუკეთესო სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმს) და „დამოუკიდებელი სულის“ პრემიაზე, როგორც საუკეთესო ოპერატორულ ნამუშევარს.

. . .

ლორნას და ნაომის
ინგლისი, ოთხმოცდაათიანების მიწურული

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ქეით ეიჩი მქვია. ოცდათერთმეტი წლის ვარ. უკვე თერთმეტ წელზე მეტია მომვლელად ვმუშაობ. ვიცი, ბევრია, მაგრამ, სხვათა შორის, უნდათ, რომ განვაგრძო. კიდევ რვა თვე — წლის ბოლომდე. თითქმის თორმეტი წელი გამომივა. ახლა უკვე ვიცი, რომ თორმეტი წლის განმავლობაში მაინცდამაინც იმიტომ არ მამუშავებენ მომვლელად, რომ ამ საქმეში ბადალი არ მყავს. არაერთი ჩინებული მომვლელი დაუთხოვიათ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში. არაერთი უვარგისი მომვლელიც მახსენდება, რომელმაც მთელ თოთხმეტ წელს იმუშავა. ასე რომ, არ ვტრაბახობ. თუმცა ისიც ვიცი, რომ ჩემით კმაყოფილები არიან და არც მე ვუჩივი სამსახურს. ჩემი დონორები ყოველთვის მოსაღოდნელზე სწრაფად მოდიოდნენ ჯანზე. გასაოცრად მალე გამოკეთდებოდნენ ხოლმე და იშვიათად თუ ღელავდა ვინმე სისხლის მეოთხედ გაცემის წინაც კი. კარგი, უკვე თავის ქება გამომდის. უბრალოდ, სამუშაოს კარგად შესრულება ბევრს ნიშნავს ჩემთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დონორებისთვის სიმშვიდის შენარჩუნება. მათთან ურთიერთობაში გარკვეული ინსტინქტიც გამიჩნდა. ვგრძნობ, როდის უნდა დავრჩე და ველაპარაკო, როდის გავეცალო და განმარტოება ვაცალო, როდის მოვუსმინო მათ სათქმელს, როდის ავიჩეჩო მხრები და მოვაკეტინო.

ასეა თუ ისე, თავი დიდად არ მომაქვს. ისეთ მომვლელებსაც ვიცნობ, დღესდღეობით მომუშავეებს, რომლებიც არაფრით ჩამომივარდებიან, მაგრამ ჩემს ნახელვარ გასამრჯელოსაც არ იღებენ. თუ თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ, მესმის, რომ შეიძლება, აღშფოთებული იყოთ ჩემი საძინებლით, მანქანით, პირველ რიგში კი იმით, რომ თვითონ ვირჩევ, ვის მოვუარო. თანაც ჰეიდშემდამთავრებულიც გახლავართ. ეს კი, თავისთავად, საკმარისია იმისთვის, რომ დროდადრო ვიღაცას ჩემზე გული მოსდიოდეს: „ქეით ეიჩს სულ ასარჩევად აქვს საქმე და სულ თავისნაირებს ირჩევს: ჰეიდშემელებს ან სხვა მდიდრებს. გასაკვირი არ არის, რაკი ასეთი ბრწყინვალე მონაცემები აქვს“. ასეთი რამ ბევრჯერ მსმენია. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ უფრო მეტჯერ გაიგონებდით და, შესაძლოა, არის კიდეც ამაში სიმართლის ნატამალი. მაგრამ მე პირველი არ ვარ, ვისაც მოსავლელთა არჩევის უფლება მისცეს, და არც ის მგონია, რომ ბოლო აღმოვჩნდე. ბოლოს და ბოლოს, ჩემს წილ გაურკვეველი წარმოშობის დონორებს მეც მოვუარე. არ დაგავიწყდეთ: სამსახურს რომ დავამთავრებ, უკვე თორმეტი წლის სტაჟი მექნება. პაციენტების შერჩევის უფლება კი მხოლოდ ბოლო ექვსი წელია, რაც მომცეს.

ვითომ რატომ არ უნდა მოეცათ? მომვლელები რობოტები არ არიან. ინდომებ და ყველა პაციენტს საუკეთესოდ ემსახურები, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც იქანცები. არავის მოეპოვება უღევი მოთმინება და ენერგია. ჰოდა, როცა არჩევის საშუალება გეძლევა, რაღა თქმა უნდა, შენნაირს ირჩევ. ეს ხომ ბუნებრივია. ამსიშორეზე ვერაფრით წამოვიდოდი ჩემს დონორებთან ერთად, მათი გზის თითოეული საფეხური რომ არ განმეცადა. დაბოლოს, შერჩევა რომ არ დამეწყო, როგორღა დავუახლოვდებოდი რუთს და ტომის ამდენი წლის შემდეგ?

რუთი შემთხვევით აღმოჩნდა ჩემ მიერ ამორჩეული სულ რაღაც მესამე თუ მეოთხე დონორი. მომვლელი უკვე მიწერილი ჰყავდა. მახსოვს, გარჯამაც მომიწია, მაგრამ ბოლოს ჩემი გავიტანე. იმავე წამს ვიგრძენი, დოუერის რეაბილიტაციის ცენტრში